ბორჯომი

3 თებერვალი
ხუთშაბათი
2022 წელი
№5 (9215)
ფასი 40 თეთრი

ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

2022 წლის 28 იანვარს გაიმართა ბორჯომის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი.

დეპუტატებმა ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №36 დადგენილებაში.

ასევე ცვლილებები შევიდა „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდედობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის №78 დადგენილებაში.

დეპუტატებმა ერთხმად მოიწონეს და ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის 2022 წლის სოციალური დახმარების პროგრამების და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №37 დადგენილებაში.

მოისმინეს საკრებულოს თავმჯდომარის დავით ზაალიშვილის ანგარიში 2021 წელს საკრებულოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

დეპუტატებმა მოისმინეს სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტო“-ს თავმჯდომარის ეკა ორჯონიკიძის ანგარიში 2022 წლის ზამთრის სეზონის მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

დეპუტატები ერთსულოვნები იყვნენ ქ. ბორჯომში, ხანძთელის ქუჩის მიმდებარედ უსახელო გეოგრაფიული ობიექტისათვის წარმოდგენილ წინადადებას და მხარი დაუჭირეს ახალ უბანში, შარშან მოწყობილ სკვერს ეწოდოს ცნობილი მომღერლის, ბორჯომის საპატიო მოქალაქის აწ გარდაცვლილი ზურაბ დოიჯაშვილის სახელი.

აქ შეიძლებოდა საკრებულოს სხდომის ინფორმაციისათვის დაგვესვა წერტილი, მაგრამ, მას შემდეგ, რაც დეპუტატებმა საკრებულოს ბოლო საკითხი მოსმენეს ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების ლევან ხაბეიშვილისა და მიხეილ ბოტკოველის მიერ გაჟღერებული განცხადებების მიმართ დამსწრე საზოგადოებაში მეტად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია.

ნაცმოძრაობის ლიდერებმა საკრებულოს თავმჯდომარეს და დეპუტატებს მოსთხოვეს პეტიციაზე ხელის მოწერა და იმ დოკუმენტის საქართველოს მთავრობაში წარდგენა, რათა დაეწყოთ პრემიერ მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ოჯახის წინააღმდეგ დავა, ბაკურიანში არსებული სახელმწიფო ტყის ფონდის (5958 კვ. მეტრი ფართობი) უკანონო □ჩუქებაზე□. არადა, როგორც გაირკვა ხსენებული ნაკვეთი 49 წლიანი იჯარით გაცემასთან დაკავშირებით 2021 წლის 17 დეკემბერს კანონმდებლობის სრული დაცვით გამოცხადდა ელექტრონული აუქციონი, რომელშიც მონაწილეობის უფლება ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკური პირს ჰქონდა.

ნაცმოძრაობის წარმომადგენლები პროვოკაციულად აცხადებდნენ ღარიბაშვილის ოჯახის მიერ კანონიერად მოპოვებულ იჯარის ჩამორთმევას - საზოგადოების წარმომადგენლებმა სამართლიანად განაცხადეს, თუ ღარიბაშვილს არ ეკუთვნის შეძენილი ქონება, მაშინ ჩამოართვან ყველას ვინც ბაკურიანში შეიძინა და აიშენა სრა-სასახლეები. ხომ იციან ვინ არიან ქონების ბატონ-პატრონები. სამწუხაროდ, ამ კითხვაზე პასუხი ვერ მივიღეთ. თვალთმაქცობდნენ და აცხადებდნენ ბაკურიანელებს აუნდა დავუბრუნოთ ტყის მასივი.ბაკურიანელების პრობლემებით აღარ იყვნენ. თვალნათლივ იგრძნობოდა ჩამოსულ სტუმრებს და მათი მეგობრებს აურზაურის შეტანა უნდოდათ საკრებულოს სხდომაზე.

ბოლოს არც საკრებულოს თავმჯდომარემ და არც დეპუტატების უმრავლესობამ პეტიციას ხელი არ მოაწერეს და გაბითურებულები წავიდნენ ბორჯომიდან.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის დავით ზაალიშვილის განცხადება

- როგორც ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარე, მსურს გამოვეხმაურო ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში, მიზანმიმართულად გავრცელებულ ცრუ ინფორმაციას და პროპაგანდას, რასაც „ქართული ოცნების“ ოპონენტებისგან და მათი კუთვნილი ტელევიზიების ეთერიდან ვისმენთ.

საუბარია საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოჯახის წევრისთვის, ვითომდაც, ბაკურიანში მდებარე სახელმწიფო ტყის ფონდის მასივის ჩუქებაზე. ხაზგასმით ვაცხადებ, რომ ასეთი ფაქტი ბუნებაში არ არსებობს და ეს არის სიცრუე და ცილისწამება!

რეალურად, ხსენებული ნაკვეთის 49 წლიანი იჯარით გაცემასთან დაკავშირებით, 2021 წლის 17 დეკემბერს, კანონმდებლობის სრული დაცვით, გამოცხადდა ელექტრონული აუქციონი, რომელშიც მონაწილეობის უფლება ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს ჰქონდა.

აუქციონი დასრულდა 2021 წლის 24 დეკემბერს, მასში გაიმარჯვა ფიზიკურმა პირმა - ნუნუ თამაზაშვილმა და 5958 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი მას გადაეცა 49 წლიანი იჯარით, მთელი რიგი ვალდებულებების, მათ შორის ტყის საფარის მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფის გათვალისწინებით.

კიდევ ერთხელ, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ელექტრონული აუქციონი იყო გამჭვირვალე და კანონიერი, მასში მონაწილეობა კი საქართველოს თითოეულ მოქალაქეს შეეძლო!

მიუხედავად ამისა, ოპონენტები არ წყვეტენ აბსურდსა და ვიწროპარტიულ ინტერესებზე აგებულ ცილისმწამებლურ კამპანიას და მიზანმიმართულად ცდილობენ მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას, თითქოს პრემიერ-მინისტრს მეუღლეს „ტყის მასივი აჩუქეს“.

ბუნებრივია, ჩვენი ოპონენტებისთვის სრულიად გაუგებარია ღია და გამჭვირვალე ელექტრონული აუქციონების პრინციპი, რადგან მათ დროს ქონების დაუფლების ერთადერთი გზა ძალადობა, საკუთრების წართმევა, სხვა პირზე გადაფორმება, იძულება და რეკეტი იყო, თანაც ეს ყველაფერი სახელმწიფოს სახელით კეთდებოდა!

მაგრამ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, უკანონო მეთოდების სხვისთვის გადაბრალებით ჩვენს ხალხს ვერ მოატყუებენ!

ამიტომაც, მსურს მივმართო მათ, ვინც ცდილობს რომ ტყუილების მიზანმიმართული გავრცელებით კონკრეტული პოლიტიკური სარგებელი მიიღოს - არაფერი გამოუვათ და როგორი პროპაგანდისტული კამპანიაც არ უნდა აწარმოოთ, ჩვენს მოსახლეობას ვერ დააჯერებენ, რომ სახელმწიფოს კუთვნილი ქონება ან ვინმეს ვაჩუქეთ, ან ვინმემ ძალით მიიტაცა! მიტაცება და წართმევა სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ საფირმო ნიშანი იყო, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში კი ყველაფერი ღია და გამჭვირვალეა!

ამიტომაც რამდენიც არ უნდა იყვირონ, სასურველ შედეგს უბრალოდ ვერ მიაღწევენ, რადგან კანონის წინაშე ყველა თანასწორია და თუკი ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის უფლება ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამავე უფლებით სარგებლობს როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრის მეუღლე, ისე ჩვენი ქვეყნის ნებისმიერი სხვა მოქალაქე!

გაეცნენ კულტურის ცენტრის პრობლემებს

27 იანვარს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **მამუკა ლურსმანაშვილი,** ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე **ლევან თედიაშვილი,** ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე **მამუკა ხითარიშვილი** და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე **მარიკა ხუციშვილი,** შოთა რუსთაველის სახელობის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ხელმძღვანელს **გაიოზ დვალაშვილს** შეხვდნენ.

საკრებულოს დეპუტატები ადგილზე გაეცნენ კულტურის ცენტრში არსებულ პრობლემებს.

მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა

2022 წელს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია, მედიკამენტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამას ახორციელებს.

- აღნიშნული პროგრამით, სტაციონარში წოლის შემდგომ, 150 ლარით დაფინანსდებიან ის პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინჭებული აქვთ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი სარეიტინგო ქულა 0-დან 160 000-მდე“.

- ბენეფიციარები, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული „სოციალურად დაუცველი ერთიანი ოჯახების ბაზაში, მაგრამ საჭიროებენ მედიკამენტურ მკურნალობას სტაციონარში წოლის შემდგომ, დაფინანსდებიან 100 ლარით.

- დიალიზზე მყოფ მოქალაქეებს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია ყოველთვიურად 100 ლარით დააფინანსებს.

- მედიკამენტების შესაძენად კვარტალში ერთხელ 100 ლარით დაფინანსდებიან შშმ პირები. (ენცეპალოპათიით, პარკისონის დაავადებით და 18 წლამდე ასაკის ეპილეფსია დაავადებული პირები).

- მედიკამენტების შესაძენად 150 ლარიანი დაფინასებით ისარგებლებენ ის პირები, რომლებიც იმყოფებიან მუდმივად მწოლიარე მდგომარეობაში.

- ასევე, მედიკამენტების შესაძენად 100 ლარით დაფინანსდებიან კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბავშვის ოჯახები.

- მედიკამენტების შესაძენად დაფინანსდებიან „რეტის სინდრომის მქონე პაციენტები.

- მედიკამენტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში განხორციელდა ცვლილება და დაემატა ბორჯომის საპატიო წოდების მქონე მოქალაქეები დაფინანსება. ბორჯომის საპატიო მოქალაქეები წელიწადში 1000 ლარით დაფინანსდებიან.

სოციალური პროგრამების ფარგლებში დახმარებები გრძელდება

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ, სოციალური პროგრამების ფარგლებში, იანვრის თვეში 143 050 ლარის დაფინანსება გასცა. აღნიშნული თანხით, მუნიციპალიტეტმა დახმარება 563 ბენეფიციარს გაუწია.

78 706 ლარი, 85 მოქალაქის სტაციონარული მომსახურებისათვის გამოიყო. მედიკამენტების შესაძენად 50 ბენეფიციარი 6 143 ლარით დაფინანსდა.

ონკოლოგიური დაავადებების მქონე 23 პაციენტი 18 127 ლარით დაფინანსდა.

99 მრავალშვილიანი ოჯახი 18 950 ლარით დაფინანსდა.

სოციალური პროგრამების მიხედვით, დახმარება მიიღეს შშმ პირებმა, დედამამით ობლებმა და სხვა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში 23-მდე სოციალური პროგრამა ხორციელდება. პროგრამის მთავარი მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი მხარდაჭერა.

მიმდინარეობს ლოკაციების შერჩევა

ბორჯომის ცენტრალურ ისტორიულ პარკში გარევაჭრობის დარეგულირების მიზნით გარკვეული ლოკაციების შერჩევა მიმდინარეობს. კერძოდ, დაგეგმილია გარევაჭრობის ადგილების განსაზღვა, ჯიხურების განთავსება და გარევაჭრობის ტერიტორიის მოწყობის დარეგულირება.

- გარევაჭრობის ადგილების განსაზღვა და აღნიშნული ტერიტორიის მოწყობის დარეგულირება მიზნად ისახავს ბორჯომის მოსახლეობის და მუნიციპალიტეტის ვიზიტორების ინტერესების გათვალისწინებას, ასევე, ბუნებრივია, ისტორიული პარკის იერსახის შენარჩუნება, პარალელურად, ითვალისწინებს გარე მოვაჭრეთა სამუშაო პირობების გაუმჯობესებას და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფას. გეგმარებითი დავალების მიხედვით, განსაზღვრულ არეალში შემუშავდება კონკრეტული გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს გარევაჭრობის განახლებული კომპლექსური პირობების შექმნას, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ბორჯომის, როგორც ისტორიული პარკის იერის შექმნა-შენარჩუნებას და ამავდროულად, გააუმჯობესებს აქ დასაქმებულთათვის სამუშაო პირობებს, - განაცხადა **ოთარ არბოლიშვილმა.**

ასევე, იგეგმება ატრაქციონების ადგილების განსაზღვრა.

ბორჯომის ცენტრალურ ისტორიულ პარკში სავაჭრო ობიექტებზე აუქციონი აპრილის ბოლოს გამოცხადდება.

უქმდება „მწვანე პასპორტი»

„ომიკრონის“ გავრცელების სწრაფი ტემპისა და ვირუსის სუსტი მიმდინარეობის, ასევე მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით, „მწვანე პასპორტის“ მოთხოვნის ვალდებულება უქმდება, - აღნიშნული გადაწყვეტილება უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე მიიღეს, რომელიც პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილის** ხელმძღვანელობით, ვიდეოკონფერენციის ფორმატში გაიმართა.

ბორჯომელი მეგზაურები ზრომით ვანგზე

თოვლთან და ყინულთან ბრძოლაში

ბოლო ოცი წელია, საქართველოს ასეთი უხვთოვლიანი და მკაცრყინვიანი ზამთარი არ გვქონია. დიდთოვლიანობას უჩივიან აჭარაში, გურიაში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, ყაზბეგში, ფშავ-ხევსურეთში, თუშეთში. 21 დეკემბრამდე კარგი ამინდები იყო. მერე კი კლიმატი ერთბაშად შეიცვალა და გაუარესდა.

ბორჯომის რაიონშიც კარგა ხვაჭრელად მოთოვა.

თოვლისგან საავტომობილო გზებს ოპერატიულად გაწმენდა რომ უნდა, ეს კარგად იციან ბორჯომელმა მეგზაურებმა, რომლებიც უკვე 9 წელია საგზაო სამუშაოებს ჰრნათლად ასრულებენ. ფირმის „მშენებელი-2012“-ის დამფუძნებელია რაიონში ცნობილი და გამოცდილი მშენებელი ბატონი **ვახტანგ კაპანაძე**. მისი 70-წევრიანი კოლექტივი მთელი წლის განმავლობაში 24 საათიანი სამუშაო გრაფიკით ირჯება და არ ისვენებს. თოვლის მოსვლის შემდეგ, ბუნებრივია, მთავარი ყურადღება **ბორჯომ-ბაკურიანის** 28 კილომეტრიან გზას ეთმობა, რომელიც ალაგ-ალაგ არა მარტო საკმაოდ დამრეცია, არამედ ზიგზაგისებურია. ჩვენს მეგზაურებს დიდთოვლობისას თვალი არ მოუხუჭავთ და აღნიშნულ გზაზე ავტომანქანების მოძრაობა ერთი წუთითაც არ შეფერხებულა. **ეს უკვე კოლექტივის გამარჯვებაა!** არა და, როგორც აღვნიშნე, ზოგჯერ დღე და ღამე გამუდმებით თოვდა და თითქმის ყოველ საათში გზას ესაჭიროებოდა არა მარტო გაწმენდა, არამედ მოხრეშვა და მარილის დაყრაც. სწორედ ამან განაპირობა ავტომანქანების შეუჩერებლად მოძრაობა და არც საშიშ მოცურებებს ჰქონია ადგილი. ისიც ყველამ ვიცით, რომ დეკემბრის ბოლოს და იანვრის პირველი ოცი დღის განმავლობაში ავტომანქანები თითქმის მთელი დღე-ღამის განმავლობაში ინტენსიურად მოძრაობდნენ.

მაინც როგორ აღწევენ ასეთ ოპერატიულობას მეგზაურები? ბოლოს და ბოლოს, ადამიანებს ძილი და მოსვენებაც ხომ უნდოდათ? საქმე ის არის, რომ როგორც ბაკურიანში, ასევე არდაგანში (აგრეთვე ჩითახევში და ქვიშხეთში) სამშენებლო კომპანიას აქვს საყრდენი უბნები, სადაც გაჩერებულია როგორც ავტომანქანები და სხვა მექანიზმები, მომარაგებულია ინერტული მასალები, ასევე აქვთ საცხოვრებელი ოთახები, სადაც მუშებს მონაცვლეობით ღამით სძინავთ, აქვთ სამჯერადი კვება და სარგებლობენ აბანოთი. მეგზაურები მორიგეობენ 4 დღე-ღამური ციკლის განრიგით. ბაკურიანის გზაზე, აგრეთვე ანდეზიტ-ციხისჯვრის მონაკვეთზე მუშაობს 15 კაციანი ბრიგადა **ჯამბულ გელაშვილის, მურთაზ ღონღაძის და დათო თედიაშვილის** ხელმძღვანელობით. თოვლის გამწმენდ გრეიდერებს ამუშავებდნენ: **გელა ბარბაქაძე, კონსტანტინე მეტრეველი და კონსტანტინე ხიზანაშვილი.** მარილის მომყრელ სპეციალურ მანქანებს მართავდნენ: **მიხეილ და ნიკოლოზ ბარბაქაძეები, იური ჩადუნელი, მერაბ ბერაძე, გიორგი სუხიაშვილი.** ინერტული მასალის მტვირთავებად ირჯებოდნენ: **იოსებ გაგლოშვილი, ლუკა ლომიძე, ლევან თებლოშვილი.** აღსანიშნავია, რომ მარილის მომყრელ მანქანებს წინ საწმენდ-სახვეტი დანაც უყენიათ, ასე რომ, გრეიდერებს ისინიც ეხმარებიან.

საჭიროების შემთხვევაში ისინი წმენდენ მიტარბის გზასაც და სოფლებამდე მისასვლელ გზებსაც.

წლის ყოველ დროს გზები მოვლას საჭიროებენ

როგორც აღვნიშნე, მეგზაურებს 24-საათიანი სამუშაო გრაფიკი აქვთ. ღამითაც სხვადასხვა უბნებზე მონაცვლეობით მორიგეობენ. ვახტანგ კაპანაძის სამშენებლო კომპანია ამჟამად ქვემოიჯარადეა ახალციხეში არსებული სამშენებლო კომპანიისა, რომლის სახელწოდებაა „შპს არალი“ (დირექტორი **დემეტრე თათუშვილი**).

„მშენებელი - 2012“ სამუშაო მექანიზმებით საკმაოდ მომარაგებულია. სულ რაღაც სამი წელია, რაც შეიძინეს ასფალტის ასაფხეკი მანქანა „ფრეზი“. მახსოვს, ბატონი ვახტანგი როგორ ნერვიულობდა მის უქონლობას და როცა შეიძინეს, - ამოვისუნთქეო! - მითხრა. ასევე თანაქვთ მარილის და ქვიშის მომყრელი 9 სპეცმანქანა, თოვლის სახვეტი 5 მექანიზმი, 2 ექსკავატორი, თვითმცლელი მანქანა, ასფალტის დამგები, ავტოამწე, ბიტუმის მზიდი, სატკეპნები, მიკროავტობუსები და ა.შ.

ეს მექანიზმები განლაგებული არიან ზემოთ ჩამოთვლილ ოთხივე უბანზე. ამ უბნებზე წინასწარ მომარაგებული აქვთ ქვიშა, მარილი, გზების პარაპეტების სხვა საჭირო მასალები.

მეორე წელია ასფალტის დამამზადებელი ქარხანა აქვთ აგარებში. ამან ერთიორად გაზარდა ასფალტის მიწოდების ოპერატიულობა. თავისი ტრანსპორტით შემოაქვთ; აწყურიდან, ხაშურიდან და დვირიდან. მარილი შემოდის თურქეთიდან, ხოლო ბიტუმი - ირანიდან და ბაქოდან.

„მშენებელ-2012“-ს საგზაო დეპარტამენტისგან დავალებული აქვთ 124-კმ გზის მოვლა-პატრონობა, რომელიც იწყება ხაშურიდან და სრულდება ახალციხის მუნიციპალიტეტის საზღვრამდე.

ხაშური-ვალეს 50 კილომეტრიან მონაკვეთზე საგზაო სამუშაოებს უძღვებიან უბნის უფროსები: **თემურ კიკნაძე, გიორგი ჩიტიაშვილი, ამირან გოგალაძე.** სამუშაოებს კეთილსინდისიერად ასრულებენ: **გოგიტა ბლუაშვილი, ბიჭიკო გელაშვილი, კახა ცალქალამანიძე, იოსებ გაგლოშვილი** და სხვები. გრეიდერებს მართავენ **ბესარიონ ნანეტაშვილი, კახაბერ გერმანაშვილი, გიორგი ლაცაბიძე.** მარილის და ქვიშის მომყრელ მანქანებს: **თამაზ გივიაშვილი, ზურაბ ბალახაძე, გიორგი ლალუაშვილი, არკადი ლომიძე, გრიგოლ ხაჩიძე.** ამ ავტომანქანებზე სანიმუშოდ ირჯებიან მტვირთავები: **გიორგი ყაულაშვილი, ოლეგ მჭედლიშვილი** და სხვები. თვითმცლელი მანქანის მძღოლია **მალხაზ მაზიაშვილი.**

კომპანიის ადმინისტრაციის მუშაკებიც მუშაობენ შაბათ-კვირას და უნარიანად ხელმძღვანელობენ გზების გაწმენდის თუ შეკეთების სამუშაოებს სამივე მიმართულებით: ახალციხისაკენ, ხაშურისაკენ და ბაკურიანისაკენ.

22 იანვარს ვესტუმრე კომპანიის ოფისს, რომელიც №6 საჯარო სკოლის სიახლოვეს მდებარეობს. აქ დამხვდნენ: ახლად დანიშნული დირექტორი **ავთანდილ სვანიძე**, გამოცდილი სამეურნეო მუშაკი **გიორგი (ჟორა) მიქელაძე** და ტექნიკური ზედამხედველი **მიხეილ დოფიძე.** ამჯერად, აქ არ იმყოფებოდა ჩემი სასურველი რესპოდენტი, კომპანიის დამფუძნებელი ბატონი **ვახტანგ კაპანაძე** (როგორ მოხდა!) სამაგიეროდ, სახლიდანაც ტელეფონით ხშირად უკავშირდება ადგილებზე დასაქმებულ მეგზაურებს.

ბატონი ავთანდილი ერთი წლის წინ დანიშნა დირექტორად. ჩვენი გაზეთის მკითხველებს მინდა ახლოდან „გავაცნო“ იგი.

დოსიე: ავთანდილ სვანიძე დაიბადა 1964 წლის 30 იანვარს ბორჯომში. საშუალო და უმაღლესი განათლება მიიღო თბილისში, 1985 წელს დაამთავრა ტექნიკური უნივერსიტეტის (გეპეის) სამშენებლო ფაკულტეტი.

1986-1988 წლებში მუშაობდა სამინისტროს მე-2 ტრესტში ჯერ ოსტატად, შემდეგ - უბნის უფროსად.

1988-1955 წლებში იყო „საქსოფლმშენის“ მე-14 ტრესტის №1 რკინა-ბეტონის ნაკეთობათა და კონსტრუქციების ქარხნის დირექტორი.

1995-2005 წლებში „მაგთიკომის“ მშენებლობებს ხელმძღვანელობდა.

რამდენიმე თვე „გზამშენი - ნ“-ის უბნის უფროსი იყო. 2005 წლიდან დღემდე მუშაობს „მშენებელ-2012“-ში.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

სწორედ ბატონი ავთანდილი მომიყვა (მას ეხმარებოდა ბატონი ჟორაც) იმ სამუშაოების მიმდინარეობების შესახებ, რაც გასული წლის მანძილზე მიმდინარეობდა. 124 კილომეტრიანი საავტომობილო გზების მოვლა-პატრონობის გარდა ისინი ასრულებდნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის და ჩამომსხმელი ქარხნების დაკვეთებს. კერძოდ, 40 მეტრი სიგრძის ბეტონი დაასხეს ბაკურიანში. ბორჯომში, რამდენიმე ადგილზე 1800 კუბმეტრი ბეტონი ჩაასხეს და ააშენეს საყრდენ კედლები; იგივე სამუშაოები აწარმოეს ჭობისხევში და ყვიბისში.

ტაძრისიდან დგვარამდე თითქმის 2 კილომეტრიანი გზა მოასწორეს, მოხრეშეს და დატკეპნეს. პირველი ჩამომსხმელი ქარხნიდან მილები გაიყვანეს მეორე ქარხნამდე, აგრეთვე მეორე ქარხნიდან - ბანსხევამდე და ზანავამდე. ტაბაწყურის მხარეს მიმდინარეობდა გრუნტის მოჭრა და გატანა, ხოლო დიდი და პატარა მიტარბისკენ გზების გაწმენდა, შეკეთება და მოხრეშვა.

ამჟამად ყველა სოფლამდე თოვლისგან იწმინდება გზები.

საავტომობილო გზის მთელ სიგრძეზე მიმდინარეობდა გზების ორმოული შეკეთება და ასფალტირება.

სწორედ აქ მივადექით ასფალტის ხარისხზე საუბარს. ხშირად ახლად დაგებულ ასფალტზე ჩნდება ორმოები. შარშან ქალაქის 2-კილომეტრიანი მონაკვეთზე (№6 სკოლიდან ვაშლოვანის ბოლომდე) მეორედ დაიგო ასფალტი.

- სამწუხაროდ ასფალტი ხშირად უხარისხოა, - მეუბნება ბატონი ავთანდილი. - ეს კი, თავის მხრივ, ბიტუმის უხარისხობის ბრალია, რომელიც შემოდის ირანდან და ბაქოდან. ხელმძღვანელობას არაერთხელ დავუკავშირდით ბიტუმის (რომლითაც ასფალტი მზადდება) უხარისხობაზე და ვიმედოვნებთ, რომ ასფალტის ხარისხი გაუმჯობესდება.

არადა, არა მარტო ბორჯომის რაიონი, მთელი საქართველო ტურისტული ქვეყანაა და გზების უხარისხობაზე აღარც უნდა იყოს ლაპარაკი.

მალე გაზაფხული მოვა, კოვიდსაც, იმედია, დავამარცხებთ, ტურისტებიც მომრავლდებიან და მათ კეთილმოწყობილ საავტომობილო გზებზე უნდა უწევდეთ მგზავრობა.

ღია წერილი იმ პედაგოგებს, რომლებმაც, ჩემი მათდამი მიმართვა-თხოვნის მიუხედავად, არ გამოიწერეს (ჯერჯერობით) რაიონული გაზეთი „ბორჯომი“.

„ნეტავი არა მეცადა“...

რედაქციის თანამშრომლებს ვეუბნებოდი: აი, ნახავთ, ჩემი წერილის შემდეგ ჩვენი რაიონის პედაგოგების ნახევარი მაინც გამოიწერს გაზეთსო!

რა მწარედ მოვტყუვდი, როგორ დამამცირეთ! ღირსება შემილახეთ, სულიერად გამანადგურეთ!

წერილის ბოლოს რეგალიები მაინც არ მიმეწერა ჩემი გვარ-სახელისათვის!

ამით მივხვდი: არც თქვენი სკოლის და არც რესურს-ცენტრის ხელმძღვანელობას არ სცემთ სათანადო პატივს და, პირველ რიგში, პატივს არ სცემთ თქვენს პედაგოგობას, პედაგოგის სახელსა და ღირსებას!

ნეტავ ჩემი წერილი ხმამაღლა წაგეკითხათ კლასებში თქვენი მოსწავლეებისათვის! დარწმუნებული ვარ, ისინი თქვენსავით არ დამამცირებდნენ. პირიქით, შეგეხვეწებოდნენ: **„გამოიწერეთ რა, მასწ., გაზეთი „ბორჯომი“!**

იმ წერილში ვწერდი: თქვენგან რაიონული გაზეთის გამოწერა თავისებურად პატრიოტიზმის გამოვლენა იქნებაო. წარმოდგენილი მაქვს, სამასსწავლებლოში რომ წაიკითხავდა, ზოგიერთი თქვენგანი დამცინავად ჩაილაპარაკებდა: „რაღა დროს პატრიოტიზმია, რაღა დროს გაზეთიაო“ და ა.შ.

იქნებ ფიქრობთ, რომ უსუსური გაზეთია ჩვენი გაზეთი და არაფერია მასში საინტერესო? **მაშ, რატომ ვიმარჯვებთ, წლების განმავლობაში, რესპუბლიკური მასშტაბით, როგორც საუკეთესო გაზეთი რაიონულ გაზეთებს შორის?** ჩვენი ჟურნალისტების წერილებს რესპუბლიკური გაზეთებიც ბეჭდავენ.

ზოგჯერ მგონია, მასწავლებლების უმრავლესობა იმიტომ არ იწერს გაზეთს, რომ „სააკაშვილისტია“, ხოლო ჩვენი გაზეთი ამ ხელისუფლების მხარდამჭერია? პასიურობამ თქვენი ლუსტრაცია ხომ არ მოახდინა? **განა საკაშვილი არ იყო, რეპეტიტორობა მკაცრად რომ** აკრძალა და ღამის ულუკმაპუროდ დატოვა მრავალი პედაგოგი? გინდათ დღევანდელმა ხელისუფლებამაც აკრძალოს? სახელმწიფო (რატომღაც) თვალს ხუჭავს მრავალი თქვენგანის რეპეტიტორობაზე და კაპიკსაც არ უხდით. შემოსავალი მსუყე გაქვთ და მთელი წლით 20 ლარის გაღებაც არ გინდათ. ძუნწობთ?

მახსენდება სამი წლის წინ ჯერ გაზეთ „ბორჯომში“ და შემდეგ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული **ჩემი წერილი,** სადაც ვწერდი: „ახალმა პრემიერმა გიორგი გახარიამ გამოაცხადა, რომ პედაგოგების ხელფასები მომავალ წელსაც მაქსიმუმ 300 ლარით გაიზრდება. ეს კარგია, **მაგრამ პედაგოგს, რომელიც კერძოდ ამზადებს ბავშვებს, ამ 300 ლარს ურჩევნია 1000, 2000 და 3000 ლარი! ამიტომ ის სკოლაში ყველა ბავშვს ერთნაირად ვერ (არ) გაუნაწილებს სითბოს და სიყვარულს, რითაც, ცოდნის გარდა, რაღაც დოზით ადამიანობასაც ასწავლის. ამრიგად, ხდება ბავშვების შერჩევა და ერთ ნაწილის თავისდაუნებურად ჩაგვრა“...** პედაგოგი კლასში დაყრდნობილია რამდენიმე ძლიერ მოსწავლეზე და დანარჩენები არაფერს აკეთებენ. **იქნებ მითხრათ, რომ ასე არ არის?** ერთხელ ესეც დავწერე: მაღალკლასელების დიდი ნაწილი ჩანთებს და წიგნ-რვეულებს არ დაატარებს, ნეტავ როგორ სწავლობენო?

როგორ ჩანს, არც ხელფასების მომატება შველის სწავლა-აღზრდის ხარისხის გაუმჯობესებას. (ამ წელსაც ხომ მოგეტანათ 100 ლარი!) ჩემი თუ არ გჯერათ, გადადფურცლეთ (ზოგჯერ მაინც) რესპუბლიკური გაზეთები. ერთი განათლების წარჩინებული და აწ უკვე პენსიონერი კაცი წერს: **„კატასტროფაა განათლებაში“** („საქართველოს რესპუბლიკა“ 3.XI). დიდი გამოხმაურება მოჰყვა ერთი პროფესორის მიერ მწარე სიმართლით სავსე წერილის გამოქვეყნებასაც რესპუბლიკურ გაზეთებში: **რა საჭიროა ამდენი სტუდენტი?** (ეს წერილი ჩვენც გადმოვბეჭდეთ). **სოკოებივით მომრავლებული უმაღლესი სასწავლებლები ფულის კეთების „ცეხაგიკებად“ იქცნენ!** საბჭოთა კავშირის დროს საქართველო ერთ-ერთი პირველი იყო ხარისხიანი განათლების მიმღებთა მხრივ, ახლა კი სულ ბოლოს მივჩანჩალებთ!

ასაკოვან პედაგოგებს ალბათ ახსოვთ: იმ „შეჩვენებული“ კომუნისტების დროს სკოლებში რეიდებში მეც ვმონაწილეობდი და საკმაოდ „გამომაფხიზლებელ“ წერილებს ვწერდი. **ჟურნალისტებს სკოლების (ისევე როგორც ნებისმიერი სხვა წარმოება-დაწესებულებების და ორგანიზაციების) შემოწმების უფლება ახლაც გვაქვს.** რატომ არ ვაკეთებთ ამას? უბრალოდ, სასამართლოში ნებართვის აღება „გვეზარება“. და, რაც მთავარია, **არ გვინდა პედაგოგების და სკოლების უსერსულობაში ჩაყენება.** როგორც ჩანს, მოგვიწევს ასეთი „სტუმრობები“, მით უმეტეს, ჩემს წერილში ვწერდი, ყველა სკოლას გაზეთის თითო გვერდს მივუძღვნითო.

კარგად მახსოვს ამ ერთი-ორი წლის წინ რესპუბლიკურ გაზეთებში ამოკითხული: **გამოცდებზე პედაგოგების 85-მა პროცენტმა უბრალო ტესტები ვერ ჩააბარაო(!).** მაშინ რედაქციაში დავინტერესდით: ჩვენი რაიონიდან რამდენი პედაგოგი იყო ასეთი და ვფიქრობდით, ისინი გვარ-სახელითაც მოგვეხსენებინა გაზეთის ფურცელზე, მაგრამ ისევ ჩვენ მოგვერიდა, **პედაგოგები დავინდეთ!** ამით კი, სამწუხაროდ, „დათვური სამსახური“ გავუწიეთ!.

არც საზოგადოებრივ საქმიანობაში იღებთ აქტიურ მონაწილეობას. მახსოვს, ამ ორი წლის წინ პედაგოგების ტრადიციული ღონისძიება ჩატარდა კულტურის სახლში. დარბაზი სანახევროდ ცარიელი იყო. როგორც ჩანს, სრულ იზოლაციაში ნახვედით, ჩიკეტეთ, „შუშანიკის წამებისა“ არ იყოს, „თავი მტკიცედ მოიზღუდეთ“.

ისიც ვიცი, ჩვენი არ იყოს, **თქვენც დაბნეულები ხართ, რაღაც უცნაური (იუვენალური) სწავლა-აღზრდის მეთოდები მოგახვიეს თავზე.** ბავშვებისთვის მკაცრად ვერ მიგიმართავთ. მაშინვე ბავშვთა უფლებების დარღვევაში დაგადანაშაულებენ ევროატლანტიკური სივრციდან, ჩვენი „სტრატეგიული პარტნორებისგან“ „მოვლენილი“ არასამთავრობები, გეი-აღლუმების მოწყობის მსურველი, გახრწნილი და გამხრწნელი სექტანტები. სამწუხაროდ, მათი ჩვენს ცენტრალურ ხელისუფლებასაც ეშინია! მათ მხარს უჭერენ როგორც ჩვენი „ვითომ“ სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია (გაიხსენეთ ნინოწმინდის ბავშვთა სახლის „დარბევა“), აგრეთვე ზოგიერთი ოპოზიციური პარტია, პირველ რიგში, ნაციონალები.

სკოლებში მანდატურების შემოყვანითაც ხომ თქვენი ღირსებები შეილახა. როცა სკოლებში ბავშვების სწავლა-აღზრდას პოლიციელების ზედამხედველობა დასჭირდა, მაშინ წახდა ჩვენი საქმე!

სიტყვა გამიგრძელდა... თქვენი პასიურობით ძალიან მატკინეთ გული, ძალიან დამამცირეთ. ეს ტკივილი სამარემდე მიმყვება. ნეტავ ის წერილი არ დამეგზავნა სკოლებში. დავით გურამიშვილისა არ იყოს, „ნეტავი არა მეცადა“...

ისე კი, მოგეხსენებათ: „სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავს“.

გვერდი მოამზადა უშანგი ჯანგირაშვილმა

საჯარო მოხელე

ღირსებას ან გმატებს თანამდებობა

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავჯდომარე, ქალბატონი მაია მანჯავიძე დღეს ჩვენი რუბრიკის სტუმარია. 2022 წლის მოწვევის საკრებულოში ის ახალი სახეა და დიდი იმედის მომცემია მისი შემართება, საქმისადმი დამოკიდებულება. საყურადღებო და მისასალმებელია ის ფაქტი, რომ გამოცდილი კადრი უფრო მეტი გულისხმიერებით მოეკიდება მასზე დაკისრებულ მოვალეობას ბორჯომელთა სასიკეთოდ.

● კონკრეტულად რაში აისახება თქვენი მოვალეობები?

- სამსახურეობრივი მოვალეობებს-უფლებამოსილებებს თუ გულისხმობთ, საკმაოდ ვრცელია. იურიდიულ საკითხთა კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, საკრებულოს რეგლამენტით და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებას. კომისიის შექმნის მიზანი მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადება, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობა, მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლია.

● ხალხის სამსახურში ყოფნა რა პასუხისმგებლობას გაკისრებთ?

- რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობა საკმაოდ დიდია, წლების განმავლობაში საჯარო სამსახურში მიწევდა მუშაობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდის მანძილზე ხალხის სამსახურში ყოფნა არ შემიწყვეტია, ახლა უფრო ძლიერი ვარ, რადგან ჩემს გვერდით გუნდია და ყველა ერთად უფრო მეტის გაკეთებას შევძლებთ - ხალხისთვის, - ჩვენი ბორჯომელებისათვის.

● რეალურად, საჯარო მოხელეებს ხალხის დიდი უმრავლესობა ალმაცერად, ირიბად უყურებს იმ გაგებით, რომ ეჭვი შეაქვს - ეს, ნეტავ, ხალხისთვის რას გააკეთებს? რას უპასუხებდით ასეთი დამოკიდებულებების მქონე საზოგადოებას?

- პირველ რიგში, რაც ყველაზე მეტად მაინტერესებს, საზოგადოების ის ნაწილი, როგორც თქვენ აღნიშნეთ - უმრავლესობა, რომელიც ალმაცერად, ირიბად უყურებს საჯარო მოხელეებს, ვის მიერაა გამოკითხული რომ სტატისტიკური მონაცემებიც კი ცნობილია თქვენთვის. გასაკვირია, ნამდვილად ასეთი მკაფიო განცხადება, რადგან თქვენ იმ ხალხის უმეტესობაზე საუბრობთ, რომლებმაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებლით ნდობა გამოგვიცხადა და საკუთარი ნება დააფიქსირა არჩევნებზე. თუმცა მაინც გიპასუხებთ: ადამიანი ინდივიდია და ყველას საკუთარი შეხედულება აქვს ნებისმიერ საკითხზე. აზრთა სხვადასხვაობა ან პრობლემების მიმართ განსხვავებული შეხედულება და დამოკიდებულება არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოების უმრავლესობა ალმაცერად გვიყურებს.

● როგორ მოხვედით აქამდე? ვიცი, რომ წლებია მუშაობდით სხვადასხვა სერიოზულ სამსახურში იურისტად. რა მოგცათ ამ გამოცდილებამ?

- როგორ მოვედი? სახელმწიფო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ საჯარო სამსახურში 20 წლიანი გამოცდილებით. ამ წლების მანძილზე თეორიულ ცოდნას პრაქტიკული გამოცდილება შეერწყა, პროფესიული თვალსაზრისით უფრო მეტად გავიზარდე.

● როგორ გესმით საზოგადოებასთან კომუნიკაცია? რამდენად ხშირი იქნება ის ამ ეტაპზე თქვენთვის?

- ადამიანებთან ურთიერთობის პრობლემა ნამდვილად არ მაქვს. ხალხთან კომუნიკაციის დეფიციტი, მათთვის შეძლებისდაგვარად დახმარება და გვერდში დგომა არც აქამდე მქონია და არა მგონია, ახლა რაიმე შეიცვალოს.

● ილია ჭავჭავაძისთვის სიტყვა და საქმე ერთი იყო. რა მნიშვნელობას ანიჭებთ დაპირებას და შემდეგ მის აღსრულებას?

- მნიშვნელობას ვანიჭებ დაპირებას - თუ არ შეგიძლია ამ დაპირების შესრულება, პირობაც არავის არ უნდა მისცე. „სიტყვა საქმიანი უნდა იყოს და საქმე სიტყვიანი“ სულხან-საბაც ასე გვმოძღვრავდა.

● ცხოვრებისეული, ან პროფესიული დაბრკოლებები გაძლიერებთ, თუ...

- დიახ მაძლიერებს, თუ წაიფორხილებ, უნდა წამოდგე, დაცემა გამორიცხულია.

● ადამიანის ღირსებას რა ქმნის?

- ღირსებას საკუთარი ცხოვრებით ქმნი, იგი მუდამ შენთანაა, უნდა მოუფრთხილდე და დაიცვა. ღირსებას არ გმატებს თანამდებობა.

● ყველაზე ცნობილი და მისაბაძი იურისტი თავისი მასშტაბებით, ვინ არის?

- ცნობილი იურისტი ნამდვილად ბევრი ჰყავს ჩვენს ქვეყანას, გამორჩევით კი ნამდვილად ვერ გამოვარჩევ, ან შორს, ქვეყნის მასშტაბით რატომ უნდა ვისაუბრო, როდესაც ჩემს ირგვლივ ძალიან ბევრი ნიჭიერი და საკუთარი საქმის პროფესიონალი იურისტია, მე ამ ადამიანებთან ხშირად მიწევს კომუნიკაცია, ბევრთან ვმეგობრობ კიდეც, სწორედ ისინი არიან ჩემთვის ცნობადი სახეები და მისაბაძებიც.

● თქვენ, როგორც ერთი რიგითი „ჯარისკაცი“ საკუთარი ქალაქისთვის რას გააკეთებთ და რა გინდათ, რომ გააკეთოთ?

- მინდა უფრო ლამაზი იყოს ჩემი ქალაქი, მეტის გაკეთება მინდა შევძლო ჩემს გუნდთან ერთად ბორჯომისა და ბორჯომელთათვის, საქმის კეთების სურვილი ნამდვილად გვაქვს. შედეგებზე კი ბოლოს ვისაუბროთ, უკვე გითხარით, არ მიყვარს დაპირება...

ესაუბრა მონიკა ჭანტურია

.გმირები თეთრ ხალათებში

ვოცნებობ, პანდემია ძალე დასრულდეს!

თბილისში დავიბადე და გავიზარდე. შეიძლება ითქვას, რომ გენეტიკური ექიმი ვარ, რადგან ოჯახის წევრები და ახლობლები მედიკოსები არიან. დედ-მამა ქირურგები იყვნენ, სულ მათთან ვიყავი სამსახურში. სახლშიც მოდიოდნენ ხოლმე პაციენტები და რჩებოდნენ კიდეც. როგორ ზრუნავდნენ და უვლიდნენ მათ მშობლები, ამას ვხედავდი. თავადაც ძალიან მიყვარდა ადამიანებზე ზრუნვა, ამიტომ პროფესიის არჩევაზე დიდხანს აღარც მიფიქრია...

ძირითადი განათლება რუსეთში მივიღე (სამკურნალო საქმე), შემდეგ საქართველოში ჩამოვედი და რამდენიმე ადგილას ვმუშაობდი სასწრაფო ექიმადაც (6 წელი) და პარალელურად, თერაპევტად ბორჯომის პოლიკლინიკაში (1989 წლიდან). შემდეგ გავიარე სტაჟირება ტუბერკულიოზის ერთიანულ ცენტრში, თბილისში და 1997 წლიდან ვმუშაობ ბორჯომის „ჯეოჰოსპიტალსში“ ფტიზიატრად (ვარ სამცხე-ჯავახეთის კოორდინატორი ამ ხაზით). შეთავსებით ვმუშაობ სადაზღვეოს ექიმადაც, ხოლო, მას შემდეგ, რაც პანდემია დაიწყო, 112-ის მორიგე ექიმიც ვარ - ამბობს ნანა მურჯიკნელი.

გვიყვება, რომ საკუთარ თავზე მუშაობას არ წყვეტს, რადგან მედიცინა ისეთი სფეროა, სულ ვითარდება, ექიმმა კი ამ სიახლეებს ფეხი უნდა აუწყოს...

რთული პერიოდები გამოვიარე. რამდენჯერ მიფიქრია ღამე, რამე შეცდომა ხომ არ დავუშვი, ხომ სწორად დავუსვი დიაგნოზი და დავუნიშნე მკურნალობა, ხომ კარგად გამოვკითხე ყველაფერი. თუ რამეში შევეჭვდებოდი, მეორე დღესვე ვურეკავდი პაციენტს და გამოვკითხავდი თავიდან... ექიმობა არ არის ადვილი, მაგრამ ადამიანების სიყვარული და მათზე ზრუნვა დამეხმარა სირთულეების გადალახვაში. ამასთან, რაც ასაკი გემატება, უფრო თავდაჯერებული ხდები. ცოდნას სულ ვიღრმავებ, ვსწავლობ, ტუბერკულიოზის ხაზითაც ხშირად გვიტარდება ტრეინინგები. ახალ ინფორმაციებს ვიღებთ და ვმუშაობთ, მუდამ შრომაში ვართ...

ჩემთან, ძირითადად, ფილტვთან დაკავშირებული პრობლემებით მოდიან და როცა ადამიანი საკმაოდ სერიოზული პრობლემებით მოგმართავს და დროთა განმავლობაში კარგად ხდება, გეტყვის, ექიმო, უკეთესად ვარო, ბედნიერებისგან ვივსები. ძალიან ბევრი გამოჯანმრთელებული პაციენტი მყავს. როცა ხედავ, რომ ავადმყოფობაზე გაიმარჯვე, ამაზე დიდი სიხარული და ბედნიერება არ არსებობს. ყველანაირი პაციენტი უნდა გიყვარდეს, ახალგაზრდა თუ ხნიერი. მე თითოეული მათგანის მდგომარეობა მიმაქვს გულთან. დავმეგობრდით, ოჯახის წევრებივით ვართ, ზოგმა მომანათლინა კიდეც ბავშვი, დავნათესავდეთო. ბევრისთვის ყველა დარგში ოჯახის ექიმიც გავხდი. აქვე უნდა ვთქვა ისიც, რომ ძმა ქირურგი მყავდა, ძალიან კეთილშობილი, სულ ეხმარებოდა ადამიანებს. მისი გარდაცვალების შემდეგ მგონია, რომ მის მაგივრადაც უნდა ვაკეთო სიკეთე, ამიტომ ორმაგად მზრუნველი გავხდი- ამბობს ნანა მურჯიკნელი.

ჩვენი რესპონდენტის დღე დილის 06:30 საათზე იწყება. მის ტელეფონზე ზარები გვიანობამდე არ წყდება. თავაუღებლად შრომობს, მუშაობს... იღლება, თუმცა პროფესიული არჩევანი არასდროს უნანია.

ამ საქმეში მთავარია პაციენტების სიყვარული, მათზე ზრუნვა და დიდი პასუხისმგებლობა. შენ ამას აკეთებ არა სამსახურისთვის და ხელფასისთვის, არამედ ადამიანისთვის! ყოველთვის ადრე მივდივარ სამსახურში და თუ საჭიროა, გვიანობამდე ვმუშაობ. ჩემთვის დღე და ღამე ერთია, ტელეფონი სულ რეკავს... არ არსებობს ზარი, რომელსაც არ ვპასუხობ. თუ იმ წამს არ მცალია და ვერ ვაგონებ, ცოტა ხანში აუცილებლად გადავურეკავ ხოლმე. ჩემთვის, ღამის 3-4 საათზე პაციენტების ზარი ჩვეულებრივი მოვლენაა. ასე გვიან რომ გირეკავს ადამიანი, ეი რაღაც სჭირდება, არაა კარგად და აბა, როგორ არ უნდა უპასუხო? ექიმს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მოთმინების უნარიც. არიან ისეთი პაციენტები, რომლებსაც ერთხელ აუხსნი და ვერ გებულობენ, რამდენჯერმე უნდა გაუმეორო. ბევრი ნერვიულობს, უნდა, სულ ესაუბრო. მეუბნებიან, თქვენ რომ გელაპარაკებით, მერე ბევრად უკეთ ვხდებით და მშვიდად გვძინავსო. ზოგს სიტყვაც შველის... ამ საქმეში სიყვარული, სითბო თვალებიდან უნდა მოდიოდეს, გულწრფელი უნდა იყო და გულით მიუდგე ყველაფერს...

არასოდეს მინანია პროფესიული არჩევანი, სხვა სფეროში თავი უბრალოდ ვერ წარმომიდგენია. აქ ბოლომდე ვიხარჯები.... თავიდან რომ დამეწყო ცხოვრება, მაინც ექიმი ვიქნებოდი! ვფიქრობ ხოლმე, მუშაობა რომ აღარ შემეძლება, როგორ უნდა ვიყო სახლში, რადგან წლებია, ჩემი დილა 06:30 საათზე იწყება, უცებ ვაკეთებ სახლის საქმეებს, გავრბივარ სამსახურში და იქიდან გვიან ვბრუნდები. ძილს ვერც ვასწრებ, თვალს როგორც კი გავახელ ფეხზე ვარ. ძალიან აქტიური ცხოვრებით ვცხოვრობ- ამბობს რესპონდენტი.

ნანა მურჯიკნელი, მისი პრაქტიკის მანძილზე, ყველაზე რთულ პერიოდად პანდემიას ასახელებს.

რთული პერიოდი გამოვიარეთ და არც ახლაა კარგი სიტუაცია. თავიდან გვქონდა შიში, რადგან ჯერ კიდევ არ ვიცოდით ამ ვირუსის შესახებ ყველაფერი. როგორც კი სიახლე იქნებოდა, ვეცნობოდით. ძალიან განვიცდიდით იმასაც, რომ ადგილები არ იყო, პაციენტს კი კლინიკაში მოთავსება ესაჭიროებოდა. ვრეკავდით, იქნებ და სადმე გვენახა ადგილი და გადაგვეყვანა სასწრაფოდ. ახლაც ბევრი შემთხვევაა, დღეში 250-მდეა სამცხე-ჯავახეთში. უამრავ ადამიანს უნდა დაურეკო დღეში, გაუწიო ონლაინ კონსულტაცია, თავაუწევად ვმუშაობთ. ვისურვებდი, რომ ბევრი ადამიანი ჩაერთოს ვაქცინაციის პროცესში, რომ აღარ იყოს ამდენი სიკვდილიანობა.

ვოცნებობ, რომ პანდემია მალე დასრულდეს, ყველა ჯანმრთელი და ბედნიერი იყოს, ადამიანებმა კი ერთმანეთის სიყვარული და გატანა ისწავლონ.

მედიაკომპანია ქრეაბივ-სპეისი

ერთი კოვიდ-ისტორია

ვირუსი სიყვარულს და თანაგრძნობას ვერ გვართმევს!

ყოველდღიურობა უცბად შეიცვალა და ვირუსულმა სიმპტომებმა იჩინა თავი. ექვსსულიანი ოჯახიდან სამი წევრი ერთმანეთის მიყოლებით სრულიად კოვიდ-დადებითები გავხდით. მაღალი სიცხეებით გათანგულებს მხოლოდ ის გვინდოდა, რომ გარშემომყოფები როგორმე დაგვეცვა. დღის წესრიგში დადგა ყველაფრის დეზინფექცია, ხელთათმანები და ბუშტები დალაგდა მაგიდაზე სიცხის დამწევებთან ერთად. ლიმონიანი წყალი კი, განუყრელი მეგობარი გახდა. გულში თავისებური შიში, ფსიქოლოგიური დათრგუნვაც იყო, როგორ არა... ეს გამოწვევაა არა მარტო ჩვენი, არამედ გლობალური. ოჯახის ექიმი გვიკავშირდებოდა, გვირჩევდა ხალისიანი განწყობის შენარჩუნებას, არც ვიტამინთა ნაკრებს არ ივიწყებს ის - „ცინკოვიდი“ ვირუსის მიერ დაკარგულ ფერმენტებს ნელ-ნელა აღადგენს. ვაქცინა რომ გვიცავდა, ამას ვგრძნობდით, თუმცა თავს ვერ ვპატიობთ, რომ ვერ მოვასწარით ბუსტერ-დოზა.

ოთხი კედლიდან უფრო სხვანაირი მოჩანს ხალხი, რომელიც არ უფრთხილდება საკუთარ უსაფრთხოებას, არ იცავს რეგულაციებს, პირბადე მხოლოდ ნიკაპის საკუთრება ჰგონია და ცხვირი ბედის ანაბარა გადმოუყვია. განა ჩვენ უწესრიგობაში ვინმე გვჯობია?! ყველა გვიმტკიცებდა, რომ ჩვენ იოლად ჩაგვიარა ვირუსმა, რადგან ვაქცინაციას აქვს თავისი ძალა. როგორ შეიძლება ეს უგულვებელყო?!. თუმცა, ომიკრონზე ვრცელდება ინფორმაცია, რომ სამწუხაროდ, შეიძლება თვენახევარში განმეორებით შეგხვდეს. იმასაც გვაიმედებენ, რომ ივნისში გადაივლის პანდემია და სეზონურ გრიპად ჩამოყალიბდება, აღარავის გაუკვირდება და ადამიანის შემგუებლური ბუნება უარესსაც შესჭიდებია არსებობის მანძილზე.

ყველაზე მთავარი ამ ათი დღის მანძილზე, რამაც გულწრფელად გამახარა და გამაკვირვა, იყო თანადგომა! ვინ თქვა, რომ არ შეგვიძლია სოლიდარობა? ამდენი გულწრფელი გაზიარება სხვისი დარდისა და სნეულებისა - ეს ნამდვილად ის არის, რასაც ვერავინ დაგვიწუნებს ქართველებს. არსად წასულა და გადაგვარებულა ის, რასაც მორალურ, წამახალისებელ გვერდით დგომას ვეძახით! მოულოდნელი კაკუნი კარზე, კარის ზღურბლთან დატოვებული ნებისმიერი „საჩუქარი“ ყურადღების დიდი გამოხატულება იყო. არ ჩერდებოდა ზარები, მოკითხვები, ეზოდან ჯგუფ-ჯგუფად მოსული ახლობელ-მეგობრები, რომლებიც გვამხნევებდნენ! ვირუსი მასიურად მოედო ყველგან და ყველაფერს, ამიტომაც გამხნევებთ - ყველაფერი გაივლის! მთავარია, სიყვარულს არ გვართმევს ეს ვირუსი! ყველას ჯანმრთელობა ჰქონდეს!

მონიკა ჭანტურია

მთავრობის სტრატეგია

● მათ, ვინც კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა მინიმუმ 3 თვის წინ გაიკეთა, ვირუსის მძიმე გამოვლინებებისგან თავის ასარიდებლად და ჯანმრთელობის მაქსიმალურად დაცვისთვის, ვაქცინის ბუსტერ დოზის გაკეთების რეკომენდაცია ეძლევათ.

● რა არის ბუსტერ დოზა? ვის შეუძლია მისი გაკეთება, როდის და რომელი ვაქცინით?

● კოვიდ-19-ის ბუსტერი არის ვაქცინის დამატებითი დოზა. მისი მიზანია, უზრუნველყოს იმუნიტეტის ხანგრძლივად შენარჩუნება, რომელიც ვაქცინის ორი დოზის გაკეთებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ბუნებრივად ქვეითდება;

● ბუსტერ დოზის გაკეთება რეკომენდებულია ვაქცინის მეორე დოზის გაკეთებიდან 3 თვის შემდეგ;

● ბუსტერ დოზის გაკეთება შეუძლიათ 18 წლის და უფროსი ასაკის პირებს;

● ბუსტერ დოზისთვის განკუთვნილი ვაქცინებია: პფაიზერი, სინოფარმი, სინოვაკი;

● ბუსტერ დოზით ვაქცინაცია შესაძლებელია სამივე ხელმისაწვდომი ვაქცინით, იმის მიუხედავად, თუ რომელი ვაქცინის კურსია უკვე ჩატარებული.

*** შეგახსენებთ, რომ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, 50 წელს გადაცილებული ყველა ის მოქალაქე, რომელიც კოვიდ-19-ის? საწინააღმდეგო ვაქცინის ორი დოზით არის აცრილი და ბუსტერ დოზით აცრას გაიკეთებს, 100 ლარს მიიღებს.**

 პოეზია

ნინოობას გილოცავთ!

ჯვარი - არა ქვისა,
ვაზის ნასხლავისა!
საღი ნიადაგის
ყოფიერებისა...
თმები ქალწულისა!
მარად სიწმინდისა!
ქალის ნააზრისა,
თმები -კონა მზისა!
- გაფენია ფიქრებს,
ჩაგრეხილი წლები,
ეკლიანი გზები,
საუკუნეები.
შეხვეული ჯვარი,
შეუვალი რწმენა,
ჭრილობიდან მოდის
ვაზის ცრემლის დენა...
მოდის დენა წლების,
მოდის ნება-ნება...
თვალწინ ანბანთ წყობის,
სამოთხე იშლება..
რწმენის ძალა მთებს დგამს,
ღაწვი ეწვით მტევნებს,
ჯვარის მადლი ნაჟურს,
გრაალს დაადევნებს...
ძარღვში გავლით მცნება,
სისხლის გზა - კვალისა,
ჯვარი - არა ქვისა!
- ვაზის ნასხლავისა!

ნინო ხოტივარი-ლომიძე

კობა წაქაძეს

მაშინ ვიყავ პატარა და გავიოცე,
ამბავი რომ ელვასავით აფრინდა,
ვფიქრობდი და ვერ ვხვდებოდი,
ნეტავ კაცი,
თხილამურით ცაში როგორ გაფრინდა?
ჩვიდმეტი წლის ახალგაზრდამ,
თხილამურით ლაჟვარდი რომ დახაზე,
მერე ყველა ბიჭი იმას იჩემებდა,
ჩემპიონი - კობა იყო წაქაძე!
იმ დროს ყველას კარზე იყო გაჭირვება
და ახალი იდეები ჩნდებოდა,
ბიჭებისთვის სასრიალო თხილამური,
მეზობლების ღობეები ხდებოდა.
ვაჟკაცობას იჩემებდნენ და ბევრ ყმაწვილს
ერთ ადგილას სიმწრით ბოლი ადიოდა,
რადგან სახლში საწოლს იყო მიჯაჭვული,
მოტეხილი ფეხით ველარ დადიოდა.
ფოლადივით გამოაწრთო გაჭირვებამ,
ასატანიც - ალბათ ბევრი აიტანს,
ივაჟკაცე და სახელი "საქართველო"
ქვეყნიდან შორს, საზღვრებს გარეთ გაიტანა!
ეხლაც ლაჟვარდ ცაში ფრინავ,
რადგან მსგავსი,
საქართველოს სხვა არავინ ყოლია,
ტრამპლინიდან ის ნახტომი სანახავი,
მე მეორე ალარ გამიგონია!
დე სახელმა საამყოფ სულ იფრინოს
და მიწაზე არასოდეს არ დავარდეს,
თხილამური - სპორტის სახე მამაცობის,
ვაჟკაცისთვის არასდროს არ გადაგვარდეს!
მინდა ლექსით გამოვხატო მოწიწება,
დე გულმა არასდროს არ დაგაბეროთ,
გადავფურცლო მატიანის ფურცლები და
მტერ-მოყვარეს თქვენი თავი გავახსენო!

იხო სარქისიანი

გილ გეითსის აზრით

1. 2022 წელს კორონავირუსის პანდემიის მწვავე ფაზა დასრულდება, იმის მიუხედავად, რომ ახალი შტამი „ომიკრონი“ სწრაფად ვრცელდება და დელტას სულ მალე ჩაანაცვლებს. 2020 წელს ის პანდემიის დასრულებას 2021 წლისთვის ვარაუდობდა, მაგრამ შემდეგ აღიარა, რომ არასათანადოდ შეაფასა, რამდენად რთული იქნებოდა ადამიანების დათანხმება ვაქცინაციაზე და პირბადეების ტარებაზე. მისი აზრით, 2022 წელს კორონავირუსი კაცობრიობისთვის ენდემური, ანუ, გრიპივით დამახასიათებელი დაავადება გახდება. ასევე მილიარდერი მიიჩნევს, რომ ამ დროისთვის კაცობრიობას ვაქცინაციის ბევრად მეტი საშუალება აქვს.

2. მილიარდერის აზრით, 2022 წელს მსოფლიო დიდი პროგრესს მიაღწევს ალცჰეიმერის და ავადების ადრეული დიაგნოსტიკის კუთხით.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ეს დაავადება მსოფლიოში 50 მლნ. ადამიანს სჭირს და ყოველწლიურად მათი რაოდენობა 10 მლნ-ით იზრდება. დაავადების რისკ-ფაქტორებია გენეტიკური მიდრეკილება და მაღალი წნევა. ამ დრო მისთვის ალცჰეიმერის დაავადების კარდინალური მკურნალობის საშუალება არ არსებობს, წამლებს მხოლოდ მისი განვითარების შენელება შეუძლიათ. დაავადების ერთ-ერთი პრობლემა ისაა, რომ მისი გამოვლენა უკვე პროგრესირებად სტადიებზე ხდება. ბილ გეითსის აზრით, სისხლის ანალიზის ახალი მეთოდის დაავადების ადრეულ სტადიებზე აღმოჩენის შესაძლებლობას გააჩენს, ეს კი მძიმე ფორმების რაოდენობის შემცირებას შეუწყობს ხელს.

მილიარდერის თქმით, ამ კუთხით ბევრი ახალი აღმოჩენა გაკეთდა და 2022 წელი შესაძლოა გარდამტეხი აღმოჩნდეს.

3. მზის ბლოკირება.

გეითსი იმედოვნებს, რომ 2022 წელს ამოქმედდება ჰარვარდის უნივერსიტეტში დამუშავებული კლიმატური ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერიმენტული საშუალება. საუბარია პროექტ SCOPEX-ზე, რომელიც 20 კილომეტრის სიმაღლეზე კალციუმის კარბონატის გაშვებას ითვალისწინებს, რაც შექმნის ღრუბელს, რომელიც მზის მავნე გავლენას შეამცირებს. ამ პროექტში ინვესტიციები თავად ბილ გეითსმაც ჩადო.

4. ანალიზები - სახლში.

გეითსი ასევე პროგნოზირებს, რომ უახლოეს მომავალში გაჩნდება მონყობილობა, რომელიც ადამიანებს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მაჩვენებლების სახლში შემოწმების საშუალებას მისცემს. ამის გაკეთება შესაძლებელი იქნება, პაციენტების „ჭკვიან საათებზე“ დაგროვილი ინფორმაციის მკურნალი ექიმისთვის გადაცემის გზით. ის ასევე დიდ პერსპექტივას ხედავს ტელემედიცინაში, რომელიც ადამიანებს სასურველ ექიმთან კონსულტაციის შესაძლებლობას ონლაინ-რეჟიმში მისცემს.

5. პოლიომელიტის აღმოფხვრა.

ბოლო ათწლეულების მანძილზე განვითარებულ ქვეყნებში ეს ვირუსული დაავადება თითქმის ამოიძირკვა, თუმცა, ღარიბ ქვეყნებში ის დღემდე არსებობს. ბილ გეითსი 2022 წელს პოლიომელიტთან ბრძოლაში დიდი ინვესტიციების ჩადებას აპირებს და იმედოვნებს, რომ ამ კუთხით 2022 წელს ბევრი მნიშვნელოვანი სიახლე იქნება.

6. წყალბადის ტრანსპორტი.

გეითსის აზრით, 2022 წელს მოსალოდნელია სერიოზული გარღვევა ვაწყალბადის ენერგეტიკაში, პროექტების Breakthrough Energy Ventures, Catalyst If Fellows-ის ფარგლებში.

ის ეკოლოგიურად სუფთა და იაფი წყალბადის საწვავის შექმნის საქმეში მნიშვნელოვან პროგრესს პროგნოზირებს. ამ პროექტებში, რომლებიც ინგლისში ხორციელდება, გეითსმა 400 მლნ ფუნტი ჩადო.

7. შეხვედრის ადგილი — მეტასამყარო 2-3 წელიწადში ვირტუალური შეხვედრების დიდი ნაწილი მეტასამყაროში შედგება.

- იდეა იმაშია, რომ ავატარის გამოყენებით, თქვენ შეძლებთ ვირტუალურ სამყაროში კოლექტიური შეხვედრების გამართვას ისე, რომ ერთ ოთახში ყოფნის ილუზია გექნებათ.

ამისთვის თქვენ სპეციალური სათვალეები და ხელთათმანები დაგჭირდებათ. 2022 წელს ჩვენ ამ ტენდენციის პირველი ნაბიჯების მოწმეები გავხდებით, - თვლის ბილ გეითსი. მისი თქმით, ამ ეტაპზე მეტა- სამყაროს ტექნოლოგია ძალიან სწრაფად ვითარდება და ახლო მომავალში ამ მხრივ პროგრესი კიდევ უფრო დაჩქარდება.

ლექცია კონფლიქტების მართვასა და მშვიდობის მშენებლობაზე

არასამთავრობო ორგანიზაცია დემოკრატ ქალთა საზოგადოების ორგანიზებითა და ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქალთა ოთახის“ ხელშეწყობით, გაიმართა ტრენინგი თემაზე „ქალთა და გოგონათა გაძლიერება გენდერული თანასწორობისა და კონფლიქტების პრევენციისთვის“.

ტრენერმა **ნანა იოსელიანმა**, პედაგოგებს წაუკითხა ლექცია კონფლიქტების მართვასა და მშვიდობის მშენებლობაზე.

ასევე, ბორჯომის ტრენინგ ცენტრის მოსწავლეებმა, ზემოთ აღნიშნულ თემაზე მოაწყეს პრეზენტაცია.

მნიშვნელოვანი გამარჯვება

საქართველოს სკი კროსის ნაკრების წევრმა ბაკურიანელმა **დავით თედიაშვილმა** შვეიცარიაში მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა.

დავითმა შვეიცარიის კორორტ ლენკში ჩატარებულ ევროპის თასის ეტაპებში ორჯერ მე-15 ადგილი დაიკავა და საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS) სარეიტინგო შეჯიბრებაშიც პირველი ადგილი დაიმსახურა, რითაც მან მსოფლიო თასების ეტაპებში მონაწილეობის შესაძლებლობა მიიღო.

შეგახსენებთ, რომ დავით თედიაშვილი ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატია.

ტურნირი მკლავჭიდში

ამა წლის 25 იანვარს, გორში, ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი მკლავჭიდში, სადაც მონაწილეობას იღებდა ბორჯომის სასპორტო სკოლის მკლავჭიდელთა გუნდი. ბორჯომელი მკლავჭიდელები წარმატებით გამოვიდნენ ტურნირზე და ორი პირველი, ერთი მეორე და ორი მესამე ადგილი დაიკავეს. ბაკურიანელი **დავით გავვა** კი აბსოლუტური ჩემპიონი გახდა. ილია როსტიაშვილმა მარჯვენა მკლავით მეორე ადგილი დაიკავა და **დავით გავვასთან** დათმო ფინალი. **დავით გოგიჩაიშვილი** ცაციათი მესამე ადგილზე გავიდა. **ნიკა გველესიანს** 18 წლამდე მონაწილეებს შორის მარჯვენა მკლავით მესამე ადგილი ხვდა წილად.

მაკურიანი სპორტული ღონისძიებებისათვის ემზადება

ბაკურიანი მასშტაბური სპორტული ღონისძიებებისათვის ემზადება. 19-20 თებერვალს ბაკურიანში სნოუბორდის ევროპის თასისის გათამაშების ეტაპები გაიმართება. ინფრასტრუქტურული სამუშაოების ნაწილი დასრულებულია, ნაწილი კი 2023 წლამდე - ფრი სთაილსა და სნოუბორდის მსოფლიო თასის გათამაშებამდე დასრულდება.

ბაკურიანში ამ ღონისძიებებისათვის განხორციელდა მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები - ეს არის სამი ახალი საბაგირო გზა, რომლებიც უკვე ექსპლუატაციაშია, ასევე ხელოვნური გათოვლიანების სისტემა დიდველის ტრასაზე, რომელის ასეთი დონის სპორტული შეჯიბრებებისათვის აუცილებელია. მისი დამონტაჟება იგეგმება კოხტას სასრიალო არეალზეც. რასაკვირველია ყველაფერ ამას დასჭირდება წყალი და ამისთვის გაკეთდება ხელოვნური ტბები.

საქართველოს ზამთრის სპორტის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფრისტაილსა და სნოუბორდში. მისთვის აქტიურად ემზადება სათხილამურო ფედერაციაც. საორგანიზაციო ჯგუფში იმის იმედი აქვთ, რომ ქართველი სპორტსმენები ამ ტურნირებში მაღალ პროფესიონალიზმს გამოავლენენ, მსგავსი ღონისძიებები კი ქვეყნის ცნობადობას საერთაშორისო ასპარეზზე კიდევ უფრო აამაღლებს. საქართველოს ნაკრების წევრები იმყოფებოდნენ ავსტრია-შვეიცარიაში შეჯიბრებებზე, სადაც მიიღეს მონაწილეობა სარეიტინგო ქულების მოსაპოვებლად. ამ შეჯიბრებებში **დავით თედიაშვილმა** მიიღო მსოფლიო ეტაპებზე და მსოფლიო თასისი გათამაშებებზე ასპარეზობის ლიცენზია.

რუსუდან სხირტლაძე

მედიკამენტები ხელსაყრელ ფასად

მოსახლეობის სოციალური კვლევის მისედვით მედიკამენტების გაზრდილი ფასები ერთ-ერთ და ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს. თუმცა, მიმდინარე კვირაში ჯანდაცვის მინისტრმა ზურაბ აზარაშვილმა განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ მოსახლეობას 200-მდე დასახელების მედიკამენტზე ფასი გაუიაფდება. ეს ყოველივე კი თურქეთის ბაზრის გახსნის საფუძველზე მოხდება. ჯანდაცვის მინისტრის განცხადება მთავრობის სხდომაზე პრემიერის გადაწყვეტილების ერთგვარი გაჟღერება გახლდათ. მინისტრის თქმით, მოსახლეობას იაფ და ხარისხიან წამლებზე წვდომის შესაძლებლობა ექნება. რას ფიქრობენ ადგილობრივები და როგორია მათი შეფასება ხელისუფლების ახალ ინიციატივაზე, გთავაზობთ მათ კომენტარებს:

ნინო 45 წლის: - კოვიდი გადავიტანე საკმაოდ გართულებული ფორმით და პოსტ კოვიდის შემდეგ იმდენი წამლები დამჭირდა მკურნალობისთვის, რომ უკვე ველარ ვთვლი, რომელ წამალში რამდენს ვიხდი. კარგი იქნება თუ დაიკლებს ფასები და ყიდვას შევძლებ.

ვალერი 65 წლის: - ახალი სეზონური ვირუსებია და ყველა სააფთიაქო ქსელი მოგებაზეა გადასული. ჯერ შეადარეთ ყველა აფთიაქში ფასები და იმის მერე იმსჯელეთ, სად რა და როგორ ხდება? ხომ უნდა არსებობდეს ისეთი მედიკამენტები, რომლებიც ყველა აფთიაქში ერთნაირ ფასად გაიყიდება? მაგრამ არ არსებობს ჯერ მსგავსი რამ და თუ 200-მდე დასახელების მედიკამენტი იქნება, რა თქმა უნდა, უკეთესი იქნება ჩვენთვის.

ზაირა 70 წლის: - პენსიონერი ვარ და რამდენიმე აფთიაქში ვსარგებლობ გარკვეული სახის ფასდაკლებებით, ფარისებრი ჯირკვლის სამკურნალო და წნევის დამარეგულირებელ მედიკამენტებზე, მაგრამ ამ ბოლოს რომ მივედი, ის წამლებიც ფასნამატით იყო და რალა ფასდაკლება გამოვიდა? მივესალმები, რომ იაფი მედიკამენტები შემოვიდეს.

ქეთი 40 წლის: - ახლა საკითხავი ის არის, რომ თუ იაფად შემოვა, რამდენად ხარისხიანი იქნება ის მედიკამენტები, მაგაშია საქმე. რამდენჯერ მქონია შემთხვევა, რომ ექიმის დანიშნულ მედიკამენტს შედეგი არ მოუცია და რა თქმა უნდა, ეჭვი შემპარვია მათ ხარისხზე. საქართველოში ყველაფერი უხარისხო შემოდის და კარგია, თუ ახლაც ასე არ იქნება, რადგანაც საქმე ადამიანების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს ეხება.

ნონა 75 წლის: - მე რაკილა ასაკიანი ვარ, წნევისა და შაქრის დამარეგულირებლები მჭირდება და ყოველდღიურად ვიღებ. ქრონიკული დაავადებები ვისაც აქვთ, იმ პაციენტებზე მედიკამენტები ხელსაყრელ ფასად უნდა იყიდებოდეს.

P.S. სამწუხაროდ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ამჟამად ბორჯომში არსებული სააფთიაქო ქსელების წამომადგენლებმა ამ ეტაპზე კომენტარისაგან თავი შეიკავეს.

გამოიკითხა **ნატო მელიქიძეს**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.
ნომრის პასუხისმგებელი მორიგე: **უშანგი ჯანგირაშვილი.**
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ№2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ№57.
borjomi@inbox.ru
რედაქტორი: ვალერიან ლომეიძე